ეგრისის სამეფოს სამშენებლო კერამიკა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით

დავითი ალანია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს, ბატონ გიორგი გვალიას,
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის დავით ალანიას

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ალანია
2020

აბსტრაქტი

ეგრისის სამეფო და მის ტერიტორიაზე არსებული ციხესიმაგრეები დიდი ინტერესესის და კვლევის საგანია მრავალი მეცნიერისთვის. ნაშრომის მსვლელობისას შევეცდები, პასუხი გავცე სამშენებლო კერამიკული მასალის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ახ.წ. IV-VI საუკუნეებით დათარიღებულ ხუნწის ციხეზე, რომელიც ახლადაღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლია. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ციხის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ კერამიკულ სამშენებლო მასალებზე და მათ ანალიზზე.

მოგახსენებთ, რომ ხუნწის ციხე ბოლომდე დანგრეულია და არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე მიწის ზედაპირზე ნაგებობის კვალი არ ფიქსირდებოდა. უშუალოდ არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი ნაგებობების სამშენებლო წყობებში კი, კერამიკული სამშენებლო მასალების გამოყენების კვალი არ დასტურდება მიუხედავად იმისა, რომ ციხეზე უამრავი მისი ნატეხია აღმოჩენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი მიზანია ხუნწის ციხეზე აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკული მასალის ანალიზი და დადგენა იმისა, თუ როგორ გამოიყენებოდა ის ციხის მშენებლობაში.

ხუნწის ციხეზე გამოვლენილია სამი სახის სამშენებლო კერამიკა - აგური, კრამიტი და თიხის ფილა. მოხდა მასალის კლასიფიკაცია და შედარდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი სხვა ძეგლების მასალასთან: პეტრა, ნოქალაქევი, ქუთაისი, ვარციხე, შორაპანი. შედარების საფუძველზე დადგინდა, რომ ხუნწის ციხეზე მოპოვებული სამშენებლო კერამიკა ანალოგებს პოულობს ახ.წ. IV-VI სს-ის ძეგლებთან.

საძიებო სიტყვები: ეგრისის სამეფო, ხუნწის ციხე, ონოგურისი, კერამიკული სამშენებლო მასალა, კრამიტი, აგური, ფილა.

Abstract

The Kingdom of Egrisi and its castles are great interest for research to many scientists. In the course of our topic we will try to answer the problems related to the use of ceramic building materials in construction at the Khuntsi Fortress dating 4th-6th centuries AD, which is a newly discovered archaeological site. The paper will focus on archaeological artifacts found at the Khuntsi Fortress and their analysis. Khuntsi fortress has been destroyed and no traces of any structures have been found on the surface before archaeological excavations. As it is known there were no traces of the masonry include ceramic building materials, but during the diggings in cultural layers were excavated a lot of pieces of ceramic building materials. The main purpose of this paper is to interpret the use of construction ceramic building material found at the Khuntsi Fortress. Also by comparing the other castles of the Kingdom of Egrisi with the same period, we conclude how this was used for the Khuntsi fortress.

By comparison, ceramic building materials found at Khuntsi fortress finds analogues with the 4th-6th century AD monuments from other archaeological sites.

Key words: Kingdom of Egrisi, Khuntsi Fortress, Onoguris, Ceramic building materials, Tile, Brick, Floor tile.